

## ურანგო ალბათური თეორია: პროექტის წარდგენა

ხელოვნური ინტელექტის განვითარების ადრეული ეტაპიდანვე ლოგიკური და ალბათური მეთოდები გამოიყენებოდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ისეთი ამოცანების ამოსახსნელად, რომელიც გარკვეული ტიპის ინტელექტს მოითხოვს. ალბათობის თეორია სწავლობს გაურკვევლობით გამოწვეულ ამოცანებს, ხოლო ლოგიკა უფრო ხშირად გამოიყენება სრულყოფილ ცოდნაზე მსჯელობისთვის. მნიშვნელოვანი ძალისხმევა დაეთმო ლოგიკური და ალბათური მეთოდების გაერთიანებას ერთ ჩარჩოში, რამაც მოახდინა სხვადასხვა ფორმალიზმისა და პროგრამირების ინსტრუმენტების განვითარება.

აქამდე შესწავლილი ყველა ალბათური ლოგიკური ფორმალიზმი უშვებს მხოლოდ ინდივიდუალურ ცვლადებს, რომელთა ჩანაცვლება შესაძლებელია ერთი თერმით. მეორეს მხრივ, განვითარდა თეორიები და სისტემები, რომლებიც დამატებით იყენებენ მიმდევრობით ცვლადებს (ამ ცვლადების ჩანაცვლება შესაძლებელია სასრული, შესაძლოა ცარიელი, თერმების მიმდევრობით) და ურანგო სიმბოლოებს (ფუნქციონალური ან/და პრედიკატული სიმბოლოები ფიქსირებული ადგილიანობის გარეშე). ურანგო თერმი არის პირველი რიგის თერმი, სადაც ერთი და იგივე ფუნქციონალური სიმბოლო შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა რაოდენობის არგუმენტებით. ურანგო ფუნქციონალურ სიმბოლოებს და მიმდევრობით ცვლადებს ენაში შემოაქვთ დიდი გამომსახველობითი უნარი. შესაბამისად, აქტუალურია ალბათურ ლოგიკის მიმდევრობითი ცვლადებითა და მოქნილ-ადგილიანი ფუნქციონალური და პრედიკატული სიმბოლოებით გაფართოების შესწავლა.

ჩვენი მოხსენება შეეხება ფუნდამენტურ კვლევით პროექტს, რომლის მიზანია ურანგო ალბათური ლოგიკის შემუშავება, მისი თვისებების შესწავლა და მასზე მსჯელობის მეთოდის დანერგვა. მოხსენებაში განვიხილავთ პროექტის მოსამზადებელ ეტაპზე პროექტის წევრების მიერ მიღებულ წინასწარ შედეგებსა და სამომავლო ამოცანებს.